

## მობილობის ჩანართში

განისაზღვრა „2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის მობილობის, სტატუსის აღდგენის და შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები

1. 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრა **2018 წლის 16 აგვისტოს 18.00საათამდე**.
2. 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციის ვადა განისაზღვრა **2017 წლის 10 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.
3. სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის გავლილი კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელების (უფლებამოსილი პირების) მიერ დასკვნების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა 2018-2019 სასწავლო წლის **14 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.
4. 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციისა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა **2018 წლის 22 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით**.
5. აღნიშნული სტუდენტებისთვის გავლილი კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელების (უფლებამოსილი პირების) მიერ დასკვნების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა მიმდინარე სასწავლო წლის **10 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.

6. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის პროექტი გაფორმდეს და წარედგინოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2018-2019 სასწავლო წლის **11 სექტემბრის ჩათვლით**.
7. სტუდენტების სტატუსის აღდგენის, შიდა მობილობითა და მობილობით ჩარიცხვის შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი გაფორმდეს 2018-2019 სასწავლო წლის **1 ოქტომბრამდე**.
8. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში აისახოს **2018 წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით**;
9. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანება წარედგინოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს **2018 სასწავლო წლის 03 ოქტომბრის ჩათვლით**;
10. მობილობის წესით გადასული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს და აისახოს რეესტრში **2018 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით**;
11. მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) წარედგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს **2018 წლის 07 ოქტომბრამდე**.
12. მობილობით გადასულ სტუდენტებზე სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებიდან ამონაწერი (თანდართული დოკუმენტებით) გაიცეს მომართვიდან ერთი კვირის განმავლობაში;

**დამატებითი კითხვების შემთხვევაში დარეკეთ 591 32 42 42/ 568 855 661**